დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“
დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის
№01-02/22 ბრძანებით

სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები: წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში პროგრამის) ინიცირების, შემუშავების, დამტკიცების, გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურას.
დოკუმენტი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული ბრძანებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 2. მოდულური პროგრამის დამატების ინიცირება, მიზანშეწონილობის დადგენა და შემუშავების პროცედურა
1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა;

2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით -„პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, კოლეჯის სტრატეგიიდან, შესაბამისი შრომის ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე;
3. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას განიხილავს კოლეჯის დირექტორი, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
4. პროგრამის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის სავალდებულო წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი (პირი, რომელიც მოაზრება პროგრამის ხელმძღვანელად), სასწავლო პროცესის მენეჯერი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი. ხოლო იმ პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას, ასევე, იმ დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები/ინსტრუქტორები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროგრამის განხორციელებაში;
5. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე დირექციის, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროგრამის განმახორციელებლებისაგან (წინარე ხელშეკრულებების ფარგლებში გათვალისწინებული პირები) ღებულობს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის ფოკუს- ჯგუფებში მუშაობის ფარგლებში;
6. თუ პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულია მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა“, დასამტკიცებლად წარდგენილი პროგრამის პროექტს თან უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტ(ებ)თან დადებული თანამშრომლობის დოკუმენტი, რომლის აუცილებელი პირობაა საწარმოო პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური ოდენობის მითითება. (ცვლილება შეტანილია N01-02/37; 23.02.2021)

7. იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამის განხორცილებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ/ხელმისაწვდომია პრაქტიკის ობიექტზე (სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ) ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
8. დუალური პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს პარტნიორ საწარმოსთან/საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ძირითად პუნქტებს:
ა) საწარმო ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა სწავლებაც შეუძლია საწარმოს;
გ) საწარმო კოლეჯთან ერთად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის პროცედურების განხორციელებას, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
დ) საწარმო ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის/გამოცდილების თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ სწავლებას, საწარმოო პროცესში მონაწილეობასა და მათ შეფასებას;
ე) საწარმოს მიერ უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო სამუშაო გარემო, შრომითი პირობების დაცვა: ხელშეკრულების გაფორმება და საწარმოში სწავლების პერიოდში შესაბამისი შრომითი ანაზღაურება;
ვ) საწარმოს მხრიდან უზრუნველყოფილია საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი მატერიალურ- ტექნიკური ბაზა (მატერიალური რესურსის ჩამონათვალი);
9. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი წარედგინება დირექტორის

მოადგილეს, რომელიც პროგრამის პროექტს შესამოწმებლად გადასცემს ხარისხის მართვის მენეჯერს.

10. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში, დირექტორის მოადგილე პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს, რეკომენდაციების შემთხვევაში პროგრამის პროექტი გადასამუშავებლად უბრუნდება სამუშაო ჯგუფს;

11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი;

12. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში ის ცალკე უნდა დამტკიცდეს);

13. მოდულური პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს ორი ხელმძღვანელი“. (ცვლილება შეტანილია N01-02/123; 28.05.2021)

მუხლი 3. მოდულური პროგრამის შემუშავების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტი მოიცავს სავალდებულო ზოგად და პროფესიულ მოდულებს და შესაძლოა, დაწესებულებას სთავაზობდეს არჩევით მოდულებს. ზოგადი მოდულები და პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.
2. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევით მოდულებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%- ისა;
3. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.
4. არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება. მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია;
5. თუკი არჩევითი მოდულის შერჩევა სადაო ხდება, პროგრამის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღებულ უნდა იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება და შედგეს შესაბამისი ოქმი;
6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს;
7. ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით. შემუშავებულ პროგრამაში უნდა მიეთითოს განხორცილების მიდგომა /მიდგომები;
8. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება ხორციელდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
9. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ,,ქართული

ენა A2" მოდულის, ხოლო საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, ,,ქართული ენა B1” მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით

დადგენილი წესის, მათ შორის, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად;

10. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. განსხვავებული მიდგომებით განხორციელების შემთხვევაში - რამდენიმე სასწავლო გეგმა;

11. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები;

12. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2“ (ხოლო საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე ,,ქართული ენა B1”) მოდულის გარეშე და ,,ქართული ენის“ მოდულ(ებ)ის კვირეულ დატვირთვას;

13. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს და არ იყოს საშუალოდ 30 საათზე ნაკლები. გამონაკლისს წარმოადგენს ,,ქართული ენა A2”/,,ქართული ენა B1“ მოდულ(ებ)ის კვირეული დატვირთვა და დუალური პროგრამის სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია მხოლოდ ის საათები, რომელსაც პროფესიული სტუდენტი აითვისებს კოლეჯში. აქვე ასახული უნდა იყოს თუ რამდენი დღეა პროფესიული სტუდენტი დატვირთული კოლეჯში და რამდენი საწარმოში;

14. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა;

15. დუალური პროგრამის შემთხვევაში პროგრამას დანართის სახით უნდა ახლდეს ინფორმაცია კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას/ორგანიზაციებს შორის სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების განაწილების თაობაზე, დადგენილი წესის შესაბამისად;

16. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებლების შესახებ პროგრამაში წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით. დუალური პროგრამის შემთხვევაში მითითებულია პარტნიორი საწარმო;

17. მოდულურ პროგრამაში უნდა აისახოს ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზის თაობაზე. ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ცალკე დანართის სახით, მოდულებში ან კომბინირებულად. დაწესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას;

18. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე;

19. პროგრამაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის განხორცილების ადგილი. დუალური პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში მითითებული უნდა იყოს პარტნიორი საწარმოები.

მუხლი 4. მოდულის შემუშავების წესი

1. მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით.

2. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილები

რჩება უცვლელად. სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილებები დასაშვებია, თუ ის გამოწვეულია კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების ან/და შესრულების კრიტერიუმების დამაზუსტებელ/განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული სახის ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში აცნობოს ცენტრს. (ცვლილება შეტანილია N01-02/37; 23.02.2021)

4.დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა;

5.საათების განაწილების სქემა: საათების განაწილების სქემაში კოლეჯს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. შესაბამისად, კოლეჯის მიერ დამტკიცებული საათების განაწილების ცხრილი შეიძლება დარჩეს, ისე, როგორც მოდულშია, ან ისე შეიცვალოს, რომ ჯამში საათების რაოდენობა დაემთხვას მოდულში მითითებულს. ცვლილებები დასაშვებია პროფესიული სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ;

6.მოდულის განხორციელების მიდგომები:

თუ მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული მიდგომები გაზიარებული არაა, კოლეჯს შეუძლია თვითონ ჩამოაყალიბოს საკუთარი მიდგომები. პროგრამის განსხვავებული მიდგომებით განხორციელების შემთხვევაში განსხვავებული სწავლების/შეფასების მიდგომები უნდა აისახოს შესაბამის მოდულებში. დისტანციურად მოდულის განხორციელების შემთხვევაში მოდულში უნდა იყოს მითითებული სწავლის შესაბამისი შედეგ(ებ)ის დისტანციურად განხორცილების შესაძლებლობა.

7.სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები: კოლეჯს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე, შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგის შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მ.შ. ერთი ინსტრუმენტით);

8.მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები: ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა;

9.შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები: შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯს შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი. მთავარია ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.

10.გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები: ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. კოლეჯმა უნდა შეიტანოს მის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ- გვერდები და სხვა წყაროები, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა;

11.რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის: მოიცავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, რაც შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დაწესებულების მიერ დადგენილ რეგულაციებთან;

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ან/და მოდულით

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსის ცვლილების (რომელიც არ არღვევს სტანდარტების მოთხოვნებს) ან სხვა გარემოებების საფუძველზე;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, დუალური პროგრამის შემთხვევაში, ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ საწარმოს და სხვა. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით;
3. დუალური პროგრამის შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირება ხორციელდება პარტნიორებთან კონსულტაციით. მოდიფიცირებული პროგრამა ელექტრონული ფორმით მიეწოდება საწარმოს/პროგრამის განმახორციელებელ ინსტრუქტორს;
4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს მოდულური პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ;
5. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილების პროექტის მომზადების პარალელურად ხდება პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი ინფორმირება და განემარტებათ მათი უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული დასტურდება ინფორმაციის მოწოდების ფურცელზე ხელმოწერით/ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტით;
6. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი მოდიფიცირებული პროგრამის პროექტთან ერთად წარმოადგენს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;
7. კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი პროგრამის ცვლილების შესახებ, რომელიც წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის შემთხვევაში, ასევე, განსაზღვრავს შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების და შეცვლილი პროგრამის ამოქმედების საკითხებს.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს

ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

9. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

10. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები (ცვლილება შეტანილია N01-02/58; 17.03.2021)

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა). პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხული ყველა პროფესიული სტუდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულებს სწავლას და მიენიჭებათ პროფესიული კვალიფიკაცია;

ბ) თუკი კოლეჯი ზედიზედ 3 წლის მანძილზე არ განახორციელებს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და დაწესებულების მიერ განხორციელებული თვითშეფასებით დგინდება, რომ პროგრამა აღარ არის მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და უახლოეს პერიოდშიც არ ჩანს მისი განხორციელების პერსპექტივა;

გ) სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს;

3. პირველი მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში პროგრამის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს: კოლეჯის წარმომადგენელი (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი და სხვ.) დამსაქმებელი, პარტნიორი საწარმო, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა;

4. პირველი მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას დასაბუთებული ინიცირება წერილობითი ფორმით - „პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის დასაბუთება“;

5. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის გაუქმება ხდება დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

6. კოლეჯი ვალდებულია ინფორმაცია პროგრამის გაუქმების შესახებ აცნობოს ცენტრს გონივრულ ვადაში;